



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი  
ტექსტი  
№1 (461)  
(5780)  
2020

„מנורה“

עיתון יהודי

בגור



### კულაშიდან — მინისტრის სავარძელში

სოფელ კულაშიდან ისრაელში რეპატრირებულთა ოჯახის შვილმა — ციპი ხოტოველმა, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროდან დიასპორის სამინისტროში გადაინაცვლა და მინისტრის სავარძელში მოთავსდა.

ციპი ხოტოველი გახლავთ ტიპიური წარმომადგენელი დღევანდელი ისრაელის ახალი სულიერი და ინტელექტუალური წყობის ადამიანებისა — მკვეთრად გამოხატული სიონისტური მსოფლმხედველობის, მისგან მომდინარე შინაგანი სიმტკიცის, პატრიოტიული სულისკვეთებისა, გამოირჩევა რწმენით, პირდაპირობით. სათქმელს, რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს მსმენელისათვის, ამბობს შეუფარავად, არ ეძებს იმის გზებს, იოლად, ზოგადი ფრაზებით დააღწიოს თავი რთულ სიტუაციას. ამ რამდენიმე წლის წინათ ამერიკის მემარცხენე ებრაელებს მიახალა: პალესტინელებს იმიტომ იცავთ და მფარველობთ, ისრაელის რეალობას არ იცნობთ, თქვენს შვილებს ისრაელის დასაცავად სისხლი არ უღვრიათ, მათს ტერორისტებს თქვენი შვილები არ დაუხოცავთ.

მკვახე შეძახილია, მაგრამ ახლოა სიმართლესთან! იმათ — ამერიკელმა ებრაელებმა, პრემიერ ნეთანიაჰუს მიმართეს, ციპი ხოტოველი დაკავებული თანამდებობიდან (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ), გადააყენეთო. ნეთანიაჰუს კი იმდენად მოსწონს ც.ხოტოველის აზროვნების სისტემა, მუშაობის სტილი, მიმართვა არ ალასრულა, თუმცაღა, გააკეთა განცხადება ხოტოველის ნათქვამს ვემიჯნებითო

— მას ჯერ კიდევ მაშინ მოსწონდა ეს ახალგაზრდა იურისტი, როცა ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე თოქშოუ მიჰყავდა — „ლიკუდის“ საარჩევნო სიაში შეიყვანა და 2009 წ. ციპი ქნესეთის წევრიც გახდა.

მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ებრაელი მოღვაწენი მიესალმებიან ციპი ხოტოველის მინისტრად დანიშნურებას, პოლიტიკური მიმომხილველები კი ამბობენ, რომ მან უნდა შემოირიგოს აშშ განაწყენებული ებრაელობა. ჯერჯერობით ამის დრო არ არის — ვნახოთ, როგორ დამთავრდება საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მარტში უნდა გაიმართოს — ვინ შექმნის მთავრობას — ბინიამინ ნეთანიაჰუ, თუ...

### ისრაელის მოსახლეობა

ისრაელის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, გასული წლის 31 დეკემბერს ისრაელში ცხოვრობდა 9 136 000 ადამიანი.

ბოლო ათწლეულში ისრაელის მოსახლეობა 1 627 000 ადამიანი გაიზარდა

სახელმწიფოს მოსახლეობის 74.1% ებრაელია, 21% — არაბი, მოსახლეობის 4.9% განსაზღვრულია, როგორც „სხვანი“ (ესენი არიან არაბი-ქრისტიანები, და ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ განსაზღვრული, თუ რომელ რელიგიას განეკუთვნებიან).

ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი 1.9%

ცენტრალური სტატისტიკური ბიურო მიიჩნევს, რომ 2024 წლისათვის ისრაელის ებრაელობა 10 მილიონს მიაღწევს.

### ისრაელის ახალი ელჩი — რან გიდორი

ახალი წლის პირველივე დღეებიდან თბილისში მუშაობას შეუდგა ისრაელის ახალი ელჩი საქართველოში — ბ-ნი რან გიდორი. რან გიდორი დიპლომატიამში არ გახლავთ შემთხვევითი პიროვნება — პროფესიონალი დიპლომატი.

რან გიდორის ნამსახურობის ნუსხა ასეთია: **ისრაელის საელჩო, იაუნდე (05/2016-12/2019) ელჩი კამერუნში, ეკვატორულ გვინეასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, კონგოსა და გაბონში,**

**ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო, იერუსალიმი (8/2012-4/2016),**

**გაეროს პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის დირექტორი (დიპლომატიური რანგი: დესპანი),**

**ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო — იერუსალიმი (6/2003-7/2007),**

**ისრაელის საელჩო, ლონდონი (8/2007-8/2012)**

**პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის სამმართველოს ხელმძღვანელი, ისრაელის მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში, ნიუ-იორკი (10-11/2006), ისრაელის წარმომადგენელი გაეროს გენერალური ასამბლეის მე-4 კომიტეტზე.**

**ისრაელის მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში, ნიუ-იორკი (10-11/2005), ისრაელის წარმომადგენელი გაეროს გენერალური ასამბლეის მე-4 კომიტეტზე,**

**ისრაელის საელჩო ჩინეთსა და მონღოლეთში, პეკინი (8/2000-6/2003)**

**კულტურისა და განათლების ატაშე, ისრაელის საელჩო საქართველოსა და სომხეთში, თბილისი (7/1997-7/2000),**

**ელჩის მოადგილე, კონსული და მთავარი ადმინისტრატორი, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო, იერუსალიმი (8/1995-7/1997)**

**დიპლომატიური კადეტი, ყოფილი სსრკ და კავკასიის ქვეყნების სამმართველოს ხელმძღვანელი.**

**სწავლობდა პენსილვანიისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში. 2010 წელს ლონდონში მიიღო განსაკუთრებული ჯილდო დიპლომატიური მიღწევებისთვის, 2017 წელს კი ჯილდო გამორჩეული ელჩობისთვის.**

ფლობს: ივრითს, ინგლისურს, ფრანგულს, რუსულს.



### დიდი ებრაული ცენტრი

უკრაინის ქალაქ დნეპროში გაიმართა ახალი მრავალფუნქციური ებრაული ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ოფიციალური ცერემონია. ახალი კომპლექსი შექმნის ებრაულ კვარტალს — ქალაქს ქალაქში. ცხრასართულიან შენობაში განთავსდება სამლოცველი დარბაზი, სასწავლო, საცხოვრებელი ნაწილები.



ცენტრის საერთო ფართობია 12 000 მეტრი. ახალ ნაგებობაში ბინებს უქონელ ებრაულ ოჯახებს გადასცემენ.

საძირკვლის ჩაყრის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობდნენ: ერაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი **მიხეილ მირილაშვილი**, რაბინი **შმუელ კამინეცკი**, ქ.დნეპროს ებრაული თემის პრეზიდენტი **გენადი ბოგოლუბოვი**, ფონდ „მიურეი თორა ლუბავიჩი“-ის პრეზიდენტი

**ნათან (არტურ) ზოლოტარევსკი** და ისრაელის სეფარდთა მთავარი რაბინი **იცხაკ იოსეფი**.

# პუტინის უეფასება და პოლონეთის რეაქცია

ჯერ 20 დეკემბერს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ლიდერებთან შეხვედრისას, მერე კი 24 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაიხსენა, 1938 წელს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და გერმანიაში პოლონეთის ელჩს თავისი რა იდეა გააცნო ჰიტლერმა: ებრაელებს აფრიკაში, კოლონიაში გადასახლება. ეს კი ებრაელთა მოსპობას ნიშნავდა.

ამის პასუხად გერმანიაში პოლონეთის ელჩმა იუზეფ ლიპსკიმ ჰიტლერს მიუგო:

— თუ (პოლონეთის) ებრაელობას აფრიკაში გადასახლებით, ვარშავაში ძეგლს დაგიდგამთ.

პუტინმა ებრაელობისადმი ლიპსკის დამოკიდებულება, ასე შეაფასა: — ვიგინდარა, ანტისემიტი ლორი, ამ კაცზე სხვა რა უნდა თქვა!

ვ. პუტინის ამ შეფასებამ პოლონეთში დიდი ხმაური გამოიწვია. რუსეთის ელჩი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტში დაიბარეს. გაიმართა ერთობ არასასიამოვნო დიალოგი პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობაზე.

## პოლონეთის მთავარი რაბინის აზრით...

ამ ინციდენტთან დაკავშირებით გამოქვეყნდა პოლონეთის ებრაული რელიგიური თემების თავმჯდომარის — კლარა კოლოდზეისკა-პოლტინის და პოლონეთის მთავარი რაბინის — მიხეილ შუდრიხის განცხადება. მათი აზრით, პუტინი გერმანიაში პოლონეთის ელჩის იუზეფ ლიპსკის ჩანაწერის მანიპულირებას ეწევა. ებრაული რელიგიური თემების კავშირში კი მიუთითებს, რომ პოლონეთი მხარს უჭერდა ებრაული მოსახლეობის 10% პალესტინაში ემიგრაციას და ეს ნაწილობრივ კეთდებოდა სიონისტურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. პოლონეთი ახლადშექმნილ ისრაელის სახელმწიფოს საიდუმ-

ლოდ ეხმარებოდაო. მთავარი რაბინი კი ამბობს:

— 1938 წელს, როცა მესამე რეიხმა ათასობით ებრაელი განდევნა, დიპლომატიური სამსახურები და მათს შორის ელჩი ლიპსკი, ებრაელებს დახმარებას უწევდნენ. ერთი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზით, ლიპსკის ანტისემიტიზმში დადანაშაულება, დიდი უპასუხისმგებლობაა.

და შემდეგ:

— გერმანიის ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები არ ფარავენ სიმართლეს მეორე მსოფლიო ომზე — გერმანიამ დანაშაული ჩაიდინაო, მოვლენებისადმი ასეთივე პატიოსანი დამოკიდებულება გვსურს რუსეთის ხელისუფლები-საგანაც, რომელმაც, როგორც გერმანიის მოკავშირემ, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი იმისათვის, რომ მისი მთავარი მსხვერპლი, მერე კი გამარჯვებული გამხდარიყო.

## რუსეთის ებრაელობა კი...

ვლადიმერ პუტინის შეფასებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება წარმოადგინა რუსეთის ებრაული თემების ფედერაციის პრეზიდენტი, რაბინმა ალექსანდრ ბოროდამ:

— რუსეთის ებრაელობის სახელით მინდა გამოვხატო დიდი კმაყოფილება ვლადიმერ ვლადიმირისძე პუტინის ასეთი ემოციური და სიმართლით აღვსილი გამოხმაურების გამო იმ ახალ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც ადასტურებს პოლონეთის მხარდაჭერას გერმანიის 30-40-იანი წლების პოლიტიკისადმი. სიტყვები, რომლებიც ჩვენმა პრეზიდენტმა დიპლომატიის მისამართით წარმოთქვა, ძალიან ზუსტია.

— ლიპსკი ჰიტლერის იდეას არა მხოლოდ იზიარებდა, თავისი მხარდაჭერით აქეზებდა ადამიანების მოკვდინების გეგმას.

## პრეზიდენტი ისრაელში არ ჩავა

როგორც ცნობილია, 22-23 იან-

ვარს იერუსალიმში გაიმართება ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი მე-V მსოფლიო ფორუმი (World Holocaust forum), რომელსაც ანკობს იერუსალიმის იად ვა შემის ინსტიტუტი. ფორუმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, იტალიის, ევროპის, აზიის, ამერიკის 40 ქვეყნის პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

ფორუმზე მიწვევა მიიღო პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ, რომლის სპიკერატმა განაცხადა, რომ პოლონეთის პრეზიდენტი იერუსალიმში არ ჩავა, რადგან დღის წესრიგის მიხედვით, გათვალისწინებულია მხოლოდ რუსეთისა და გერმანიის პრეზიდენტების გამოსვლა — ფორუმი აუშვიც-ბირკენაუს გათავისუფლების თარიღს ეძღვნება, ეს საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთის ტერიტორიაზე გახლდათ და პოლონეთის პრეზიდენტის გამოსვლა მიზანშეწონილად არ მიიჩნევა.

## პრეზიდენტის პირობები:

5 იანვარს პოლონეთის მხარემ წამოაყენა რამდენიმე წინადადება, რომლის შესრულების შემთხვევაში პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა იერუსალიმში ჩავა და მონაწ-



ილეობას მიიღებს ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი მე-V საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში. მთავარი პირობა კი ის გახლავთ, რომ ანჯეი დუდას მიეცეს საშუალება ფორუმზე სიტყვა წარმოთქვას რუსეთისა და გერმანიის პრეზიდენტებთან ერთად. ანჯეი დუდამ 5 იანვარს ტელეარხ TVP.INFO-სთან საუბარში განაცხადა:

— ჩემთვის მთავარი პირობაა, როგორც პოლონეთის პრეზიდენტი, სიტყვით გამოვიდე სხვა — რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან და გერმანიის პრეზიდენტ შტაინმაიერთან ერთად და მომეცეს საშუალება ვილაპარაკო პოლონელი ხალხის, ებრაელების — პოლონეთის მოქალაქეების, მოთმინებაზე, ვისაუბრო იმ დანაკარგზე, რაც ჩვენ განვიცადეთ მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ვისაუბრო ჰოლოკოსტზე და იმაზე, თუ რომ განაპირობა მეორე მსოფლიო ომი, მინდა მომეცეს საშუალება ვისაუბრო ისტორიულ სიმართლეზე, რომელსაც ამ ბოლო წლებში სამწუხაროდ, აყალბებენ.

## მაგრამ ...

7 იანვარს სამთავრობო სხდომაზე პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ განაცხადა:

— ჩვენ მივმართეთ ისრაელის მხარეს, რომ პოლონეთის პრეზიდენტს მისცემოდა სიტყვით გამოსვლის საშუალება. ამ მიმართვაზე ორგანიზაციორებისაგან (ისრაელის იადვაშემის ინსტიტუტი) დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ.

პოლონეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ისრაელის მხარემ ფორუმზე სიტყვის წარმოთქმის საშუალება მრავალი ქვეყნის ლიდერ, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მისცა.

— ვერ ვხედავ იმის მიზეზს, პოლონეთის პრეზიდენტს, თუ რატომ არ უნდა მიეცეს ფორუმზე გამოსვლის საშუალება. ეს შელახავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს — დასძინა ანჯეი დუდამ.

\*\*\*

„მენორასათვის“ ცნობილი ხდება, რომ იერუსალიმში ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილ გამართულ ფორუმში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი.

## ბინიამინ ნეთანიაჰუს გამარჯვება

ქნესეთის არჩევნების ორჯერ ამოად ჩატარების შემდეგ, პარტია ლიკუდის თავმჯდომარემ და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ პარტიაში უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები და გამოვლინდეს ამ როლს სიტუაციაში პარტიას ხომ არა აქვს სურვილი, მას სხვა ლიკუდელი უძღვეოდეს. ასეთი პრაიმერიზი — არჩევნები პარტიაში 26 დეკემბერს ჩატარდა. პარტიის მეთაურის პოსტზე ასარჩევად თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს ბინიამინ ნეთანიაჰუმ და გიდეონ საარმა. არჩევნების წინა დღეებში ისრაელის საზოგადოებრიობა დაძაბა, ნაწილი კი — განარისხა, კულტურის მინისტრის მირი რეგევის ერთობ დაბალი პოლიტიკური კულტურის განცხადებამ: „სეფარადს პრაიმერიზში გამარჯვების საშუალებას არ მივცემთ“.

26 დეკემბერს გაიმართა პრაიმერიზი. ხმები ასე განაწილდა: პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს კანდიდატურას პარტიის თავმჯდომარედ კიდევ ერთხელ ასარჩევად მხარი დაუჭირა არჩევნებში მონაწილეთა 72.5%, ხოლო გიდეონ საარს — 27.5%

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბინიამინ ნეთანიაჰუს კანდიდატურას მხარი დაუჭირა 41.792 ლიკუდელმა, გიდეონ საარისას კი — პარტიის 15.885 წევრმა.

## მესამე რეკორდული წელი

ისრაელში ტურისტული ნაკადები არასოდეს არ წყდება. იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით ტურ-

ისტები ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან მოდიან. როგორც ისრაელის ტურიზმის სამინისტრო იუწყება, 2019წ. ისრაელმა 4.55 მილიონი უცხოელი ტურისტი მიიღო და მესამე წელია ზედიზედ რეკორდს ამყარებს. წინა — 2018 წელთან შედარებით ტურისტთა ნაკადი 11% გაიზარდა. ბოლო 12 თვის განმავლობაში ტურიზმმა ისრაელის ეკონომიკას 23 მილიარდი შეკელი შემატა.

— ეს ისტორიული მიღწევა გახლავთ შედეგი მარკეტინგში წამოწყებული რეკოლუციისა. ეს არის ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი საავიაციო მარშრუტების შექმნა და მსოფლიოს წამყვან ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა — ამბობს ტურიზმის მინისტრი იარივ ლევინი.

ისრაელში ტურისტების სიმრავლის მიხედვით პირველ ადგილზეა აშშ, საიდანაც ისრაელში 890 ათასი ტურისტი ჩავიდა, მას მოსდევს საფრანგეთი (338 ათასი), რუსეთი (296 ათასი), გერმანია (268 ათასი) და დიდი ბრიტანეთი (218.700).

2018 წელთან შედარებით, ისრაელში ჩინეთიდან ტურისტთა ნაკადი 51% გაიზარდა — ისრაელში ჩავიდა 144.400 ტურისტი.

## ნიუ-იორკის ბეით ქნესეთებში

მას შემდეგ, რაც ნიუ იორკის ბეით ქნესეთებში მკვეთრად გაიზარდა ანტისემიტიური ინციდენტები, მათს ხელმძღვანელობას შესთავაზეს ნაგებობაში სპეცსამსახურების გამოსახლება ცხელი ხაზის შეყვანა. საშიშროების შემთხვევაში საკმარისია თითო დააჭიროთ ლილაქს და სპეცსამსახურები არ დააყოვნებენ.

ამ იდეას რეკომენდაციას უწევს ებრაული პატრული SHOMRIM.

აღნიშნავენ, რომ თუ შაბათის ღვთისმსახურების დროს საფრთხე შეიქმნა, ლილაქზე თითის დაჭერა, შაბათის უპატივცემლობად არ ჩაითვლება. ასეთი ცხელი ხაზის დაყენება სულ რაღაც 200 დოლარი ღირს. სადღეისოდ ამგვარი აპარატურა ნიუ-იორკის 200 ბეით ქნესეთში დააყენეს.

## პირველად ისრაელში

რეზოვოთი პირველი ქალაქია ისრაელში, სადაც უარი თქვეს ქუჩების ცოცხით ხვევაზე — აქ უკვე მტვერსასრუტით ასუფთავებენ ქუჩებს.



რეზოვოთის მერი რახამიმ მალული ამბობს: — ვეძებდით საიმისო საშუალებას, თუ როგორ უნდა გავასუფთავოთ ქუჩები, მაშინ როცა ისინი სავსეა ავტომობილებით. ქუჩის მტვერსასრუტი აპარატი ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მივიჩინეთ და გაგვიმართლა.

მერაბ ჩანჩალაშვილი:

დადებითად ვაფასებთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას

ნოემბერში ალ. რონდელის ფონდის ორგანიზებით, ბრიუსელში ჩატარდა საქართველოს რელიგიური კონფესიების ფორუმი. საქართველოს იუდეველთა თემს წარმოადგენდა თბილისის დიდი სალოცავის გაბაი — მერაბ ჩანჩალაშვილი. ფორუმის მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ ევროკავშირში, ნატოში და სხვა ევროპულ სტრუქტურებში. მკითხველს ვთავაზობთ ფორუმზე მერაბ ჩანჩალაშვილის გამოსვლის ტექსტს.

— მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო,

ჩემი გამოსვლა მიიწვიებს 115 წლის წინათ მომხდარი ამბის გახსენებით:

გასული საუკუნის დამდეგს, 1913 წელს, ფრანკურტში, ებრაელთა ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო თავყრილობაზე, ევროპისა და აზიის ქვეყნების დელეგატები ერთმანეთზე უფრო შემზარავ ფაქტებს ჰყვებოდნენ თავიანთ ქვეყნებში ებრაელების დევნა-შევიწროების შესახებ — საქართველოდან ჩასულმა სასულიერო მოღვაწემ, დავით ბააზოვმა უცარი დისონანსი შეიტანა დამსწრე საზოგადოებაში და თვალეგაფართოებულ აუდიტორიას გაუგონარი სენსაციის მცნო:

— ქვეყანა, საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ კავკასიაშია. მას საქართველო ჰქვია. ეს არის ქვეყანა, სადაც არასოდეს არ ყოფილა ებრაელთა რბევა. მის შვილებს არასოდეს არ აუნიოკებიათ ჩემი ხალხი და აგერ, ოცი საუკუნეა, ტკბილად და ძმურად ვცხოვრობთ.

ეს იმდენად გამორჩეული განცხადება იყო გამოსვლების საერთო კონტექსტიდან, რომ კონფერენციის თავმჯდომარემ, საფრანგეთის წარმომადგენელმა — გენერალმა ლიფომონმა საჯაროდ განუცხადა დამსწრეებს:

— ძებო, თქვენს წინაშე დგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან. ეს ქვეყანა შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი ახლოს უნდა იყოს ყველა ებრაელის გულში. ევროპას დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას, ეს კი ქართველ ერს 2000 წლის წინათ ჰქონდა შეთვისებული. ამის მოწმეა მცხეთის ქალაქი და მისი პრეზიდენტი — მამასახლისი, რომელიც დაუხვდა იერუსალიმიდან ჩამოსულ ებრაელებს პურ-მარილით. აქ ისტუმრა ძმურად და დღევანდლამდე თუმცა ბევრი ცვლილება მოხდა ამ მშვენიერ ერში, მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა, მათში შეუცვლელია... — კიდევ მრავალი საქებარი სიტყვა თქვა გენერალმა ქართველთა მისამართით და ბოლოს დასძინა: — ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოთქვას: „ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდლოება, მხედრობა, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლიაო, ევროპის ძალებით დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო“. აი, ასეთია ქართველი ხალხი და მათი ის ქვეყანა, საიდანაც ჩვენი სტუმარი ჩამოვიდა!

კრებაზე გამაყრებელი ტაშისცემა ატყდა და ყველა ერთხმად გაიძახოდა:

— გაუმარჯოს ქართველ ხალხს! სიცოცხლე და ბედნიერება ქართველ ხალხს! — ბევრი ადამიანის თვლებზე ცრემლები კიაფობდა, საზოგადოება დიდხანს ვერ დამშვიდდა. გენერალმა კი თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— შვილებო, ანდერძად გქონდეთ, ვისაც როგორ შეგეძლოთ, იმით გამოხატეთ ქართველი ერის სიყვარული!”

ასეთი იყო ფრანკურტის ყრილობაზე ებრაელი რაბინის დავით



ბააზოვის გამოსვლის შედეგი.

ებრაელი ხალხი საქართველოში 26 საუკუნეა ცხოვრობს. მათი პირველი სამოსახლო აქ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის ისრაელში შეჭრის შემდეგ გაჩნდა. მას შემდეგ ებრაელთა ჯგუფების მიგრაცია პერმანენტულად, მე-19 საუკუნის ჩათვლით გრძელდებოდა. ებრაელთა დიდი დასახლებები ქვეყნის თითქმის ყველა დიდ ქალაქში: მცხეთაში, თბილისში, ოში, ცხინვალში, ახალციხეში, ქუთაისში, გაგრაში, სოხუმიში არსებობდა. ასევე საქართველოს რამდენიმე სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ებრაელები შეადგენდნენ. მაგალითად კულაში, სურამი, ურბნისი, სუჯუნა, ბოდბე და სხვა.

ებრაელების ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და თავად ქართველი ხალხი.

ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისთვის, დიდი პატივია საქართველოში ცხოვრება, პირადად მე მიმაჩნია რომ თუ სადმე უნდა ცხოვრობდნენ ებრაელები ისრაელის გარდა, ეს ქვეყანა საქართველოა, ქვეყანა სადაც ტოლერანტობის დღე ყოველ დღე აღინიშნება ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანების ცხოვრების წესით. ამის დასტურია ისიც რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ მრავალი ეროვნების და რწმენის ადამიანები, ამის დასტურია ძველი თბილისის პატარა უბანი, სადაც ერთმანეთის გვერდით განთავსებულია ყველა სარწმუნოების სალოცავები.

შემთხვევითი არ არის რომ ქალაქის ამ მონაკვეთს, სადაც მე დაგიბადე და გავიზარდე, ქვეყანაში ჩამოსულმა ტურისტებმა პატარა იერუსალიმი შეარქვეს.

ჩემს ქალაქში, ისე როგორც საქართველოს მრავალ დასახლებულ ადგილებში, ერთად, ერთი ცხოვრებით ვიზრდებოდით სხვა და სხვა ეროვნების ადამიანები, ისე რომ არც ვკითხულობდით ერთმანეთის ეროვნებას, ჩვენ ყველანი ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით, ისე რომ არ გვაინფიცებოდა ვინ ვიყავით. რელიგიური დღესასწაულების დროს ე/წ თბილისურ ეზოებში მცხოვრები

ადამიანები ერთად ვიზარებდით ყველა რელიგიური კონფესიის დღესასწაულს და მაშინ უფრო ხდებოდა ჩვენთვის გასაგები ვინ რა ეროვნების იყო. ასევე ერთად ვუმკლავდებოდით ჩვენს წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, ისე რომ არავის არ სჭირდებოდა თხოვნა დახმარების შესახებ.

1991 წელს დაინგრა საბჭოთა კავშირი და ამ ნანგრევებში მოყვა საქართველო და საბჭოთა კავშირში შემავალი რამდენიმე ქვეყანა, სადაც ცენტრალიზებულად არსებული ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განწყვეტის გამო, გაუარესდა ცხოვრების პირობები. ამან გამოიწვია ქვეყნიდან მიგრირებულ ყველა ეროვნების ადამიანთა რაოდენობის გაზრდა. 90-იან წლებში საქართველოში და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში იყო საომარი მოქმედებები, (სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, რუსეთთან 2008 წლის ომი), მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელი ერთნაირად იდგა ქვეყნის საღარაჯოზე, ასევე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების დიდი გამჭრიახობით და ძალისხმევით მოხერხდა, რომ ამ ქვეყნებს შორის დაპირისპირების ტალღა არ გავრცელდა საქართველოში. დიდი მადლობა მათ ამისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 26 წლის განმავლობაში საქართველოში შეიცვალა რამდენიმე მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მთავრობას ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური ხედვა, უცვლელი იყო მათი ტოლერანტული დამოკიდებულება, ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ.

დადებითად ვაფასებთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს დაარსების თაობაზე, ეს სააგენტო უშუალოდ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელებს ექვემდებარება, ამით შეიქმნა კიდევ ერთი საშუალება და სივრცე საქართველოში მოქმედი ყველა რელიგიური კონფესიის ხელმძღვანელის დასახლოვებლად, ეს კი ერთმანეთთან აახლოებს სხვადასხვა რწმენის ადამიანებს და კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს, როგორც დემოკრატიული და ტოლერანტული სახელმწიფოს იმიჯს. სწორედ სააგენტოსა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა მუშაობის შედეგად მოხერხდა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული საკულტო ნაგებობების რელიგიურ კონფესიებზე უვადო სარგებლობით გადაცემა, ჩვენ ებრაელებს უვადო სარგებლობით გადმოგვეცა თითქმის ყველა სინაგოგა, დარჩენილია 2 სინაგოგა, რომლებზეც გრძელდება მუშაობა. დღეისათვის ეს ფორმა მისაღებია, მაგრამ ვთვლით რომ საჭიროა ქვეყანაში შეიმუშავოს კანონი, საკულტო ნაგებობების რელიგიურ კონფესიებზე საკუთრებაში გადასაცემად. ასევე დასახვეწია საგადასახადო და საბაჟო კოდექსი

ყველა რელიგიის თანაბარ პირობებში მოსაქცევად.

სახელმწიფოს ინიციატივით 2014 წელს დიდ საზეიმო ვითარებაში ჩატარდა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვანი საიუბილეო ღონისძიებები, ასევე 2015 წელს ონის სინაგოგის 130 წლის იუბილედს 2017 წელს ახალციხის სინაგოგის 275 წლიანი სიუბილე.

ასევე მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობები გვაქვს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის რელიგიათა საბჭოსთან.

ამასთანავე ქვეყანას და მის ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა, დიდ მორალურ, ფიზიკურ და ფინანსურ პრობლემებს უქმნის მოუგვარებელი კონფლიქტები, მაგალითისთვის მოვიყვანო რომ ჩვენ ებრაელები შეზღუდული ვართ რომ სამაჩაბლოში და აფხაზეთში ჩავიდეთ და მოვინახულოთ იქ არსებული სინაგოგები, რომლებიც ჩვენი ინფორმაციით, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დანგრეული და გაპარტახებულია, ასევე ძალიან გვაღელვებს ის ფაქტი, რომ საერთოდ მოკლებული ვართ საშუალებას მოვინახულოთ და მოვუაროთ იქ დასახლებული ჩვენი ნათესავებისა და ახლობლების საფლავებს. შეგახსენებთ რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ცხინვალის რეგიონში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქ. ცხინვალის მოსახლეობის 50% მეტს ებრაელები შეადგენდნენ. ვიცით რომ ასეთივე პრობლემების წინაშე არიან საქართველოში არსებული სხვა კონფესიის წარმომადგენლები.

როგორც ვიცით, ქვეყნები მოკლებულნი არიან საშუალებას აირჩიონ მეზობლები, ისტორიამ ჩვენ და ჩვენი მეზობლები ერთმანეთის გვერდით დაგვასახლა, ჩვენთან ასეთი გამოთქმაა: ცუდი მეზობელი კარგ ნათესავზე უკეთესია, რადგან ის უფრო ადრე იგებს მეზობლის გასაჭირს და აქვს საშუალება სხვაზე ადრე გაუწოდოს მას დახმარების ხელი. მოვუწოდებთ პოლიტიკოსებს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, რომ გამოიყენონ ყველა საშუალება, რათა ყველა მოსახლესთან, ასევე ყველა მეზობელთან გამოიხატონ საერთო ენა და დამყარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა. უნდა გამოვინახოთ გზა, რომელიც გვაერთიანებს და უარი ვთქვათ გზაზე რომელიც გვყოფს ერთმანეთისაგან. ეს ადვილი მისაღწევია იმ პირობით, თუ შენ სცნობ სხვისი ღირსების, პოლიტიკური და რწმენის არჩევის უფლებას, მთავარი პირობა კი უნდა იყოს ერთმანეთის პატივისცემა და თანასწორი უფლება, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ერთი ღმერთის შვილები ვართ. მე ვთვლი რომ ასეთი მაგალითია საქართველოში მრავალი ეროვნების და მრავალი რელიგიური კონფესიების თანაცხოვრების ისტორია.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

# საქართველოს ებრაელთა სალოცავები



სტატიის გამომქვეყნების  
მიზანი და მიზანი

გაზეთ „მენორას“ 2019 წლის თებერვლის №2 (450)-ში გამოქვეყნდა ფოტო, წარწერით „ბეით ქნესეთი თეირანში“. დადგინდა, რომ ამ ფოტოს გამავრცელებელი - ჩრდილოეთ კავკასიის ებრაელთა კონგრესის საიტი — შეცდა, საკითხის აქტუალობის გამო, გადავწყვიტეთ გამოვქვეყნოთ მასალები საქართველოში ებრაელთა სალოცავებზე. აქ უნდა აღინიშნოს ან განსვენებულების არქიტექტორ პროფესორ შოთა ბოსტანაშვილის (13.05.1948-29.05.2013) და სემიტოლოგ დოქტორ ნისან ბაბალიკაშვილის (07.04.1938-10.05.1986) დიდი ღვაწლი საქართველოს სალოცავების ისტორიის და არქიტექტურის (არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი) და ებრაული წარწერების-ეპიგრაფიკის (სემიტოლოგი ნისან ბაბალიკაშვილი) შესწავლაში. შოთა ბოსტანაშვილი იყო პირველი, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა საქართველოს მე-19-20 საუკუნეების სალოცავების შენობა-ნაგებობები, ხოლო ნისან ბაბალიკაშვილმა მეცნიერულად შეისწავლა მე-18 -19 საუკუნეების სალოცავების და სასაფლაოების ებრაული წარწერები- ებრაული ეპიგრაფიკა. დღეს ვიკიპედიაში საქართველოს სალოცავების არქიტექტურის შესახებ გამოქვეყნებული მასალა, მიუხედავად არსებული უზუსტობებისა (ასეთ საკითხებში უზუსტობებისგან დაზღვეული არავინ არ არის), ეყრდნობა შოთა ბოსტანაშვილის პუბლიკაციებს.

## შესავალი

საქართველოში ებრაელები ფართოდ აღიარებული მონაცემებით 2600 წელზე მეტია მკვიდრობენ, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის აზრით, ძვ.წელთაღრიცხვის 169 წლიდან, ხოლო პროფესორ ელდარ მამისთვალის მიხედვით, ძვ.წელთაღრიცხვის 136 წლიდან მკვიდრობენ. ნათან ელიაშვილი (1893-1929), ებრაული ენის მასწავლებელი, თბილისში ებრაული სკოლის დამაარსებელი და თანამოაძმეთა შორის სიონისტური აზრის გამავრცელებელი, წიგნში "ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში (ისრაელის მინაზე)", (თელ-ავივი, 1975 წ.) აღნიშნავს, რომ ზოგიერთთა მოსაზრებით ებრაელები საქართველოში ძვ.წელთაღრიცხვის III საუკუნეში დასახლდნენ და ზოგიერთი ისტორიკოსი კი მიიჩნევს, პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ (ძვ.წელთაღრიცხვის VI საუკუნე). ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში საქართველოში ებრაელების გამოჩენაზე მოსაზრებებს გამოსთქვამს აკადემიკოსი იცხაკ დავიდი. საქართველოში VIII საუკუნეში ებრაელობის გამოჩენის საკითხს განიხილავს პროფესორი კონსტანტინე ლერნერი. და უძველესი მატერიალური ძეგლების განხილვის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ებრაელები საქართველოში გაცილებით გვიან დასახლდნენ. დოქტორი ილია ბაზოვი ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ებრაელები საქართველოში“ (რუსულ ანაზე) ფართოდ მიმოიხილავს საქართველოში ებრაელების დასახლებას და მის წინა პირობებს. პირველი ებრაული მატერიალური ძეგლი, აღმოჩენილი მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებში, არის საფლავის ქვა ებრაული წარწერით და ის თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვის II-V საუკუნით. ასეა თუ ისე, ებრაელები საქართველოში 2600

თუ 2200 წელია, ანუ უძველესი დროიდან, არიან. რადგან ებრაელ კაცს არცერთ ადგილას ლოცვისა და მინიანის (10 სრულსაკოვანი — 13 წლის და მეტი-მამაკაცი, გარეშე არ ეცხოვრება, ებრაელები დასახლების ადგილებში ყოველთვის აუცილებლად იშენებენ "ბეით ქნესეთებს", საკრებულო სახლებს, ლოცვებს, იგივე სალოცავებს. რადგან დასახლების პირველი ადგილი იყო მცხეთა, ერთ-ერთი უძველესი ებრაული ლოცვა, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით არის აღმოჩენილი, გახლავთ ჩვენი წელთაღრიცხვის III-IV ს-ის მიჯნაზე, ასევე მცხეთაში, არსებული ლოცვის შენობა. მცირე ბაგინის ადგილზე აღმოჩენილი კოლონის დიამეტრი არის 88 სმ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სამლოცველო სახლი, იყო მონუმენტალური ნაგებობა (იხ. პროფ. გურამ ლორთქიფანიძის და გურამ ყიფიანის სტატია).

მცხეთის შემდეგ ებრაელები საქართველოში მრავალ ადგილას დასახლდნენ, მომრავლდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითად სამოსახლო პუნქტებს წარმოადგენდა: სურამი, ახალდაბა, ქარელი, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ბრეთი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთის ხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის შეყოლებით; სამცხე-ჯავახეთში-ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, აწყვერი (ანყური), ახალციხე და სხვ.; კახეთსა და ქიზიყში - ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო; დასავლეთ საქართველოში: იმერეთში: ქუთაისი, ვანი, კულაში; სამეგრელოში: ფოთი, ბანძა, სენაკი; რაჭა-ლეჩხუმში: ონი, ლალიაში, ხოტევი; გურიაში: ოზურგეთი. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის 1800 წლის მონაცემებით, საქართველოში 784.7 ათასი მოსახლე იყო, მათ შორის 3.3 ათასი ებრაელი, მთლიანი მოსახლეობის 0.4%). ებრაელთა ეპიგრაფიკული ძეგლები ებრაულ და არამეულ ენებზე (III-IV სს.) აღმოჩენილია ურბნისსა და მცხეთაში, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში ისინი აღარ ჩანან. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის განსახლების ადგილებში შემორჩა მხოლოდ ტოპონიმები („უბანი ურიათა“, „ურიათუბანი“, „ნაურიები“, „ურია“). ამენდა მრავალი ლოცვა. მაგრამ დღეს საქართველოში მხოლოდ მე-19-20 საუკუნეებში აგებული ებრაელთა სალოცავებია შემორჩენილი. 1970 წელს საქართველოში 55,4 ათასი მოსახლე ებრაელი აღირიცხვა ( საქართველოს მთელი მოსახლეობის 1,4%) . 1990-იან წლებში ებრაული მოსახლეობისგან დაიცალა კულაში, ცხინვალი, ქარელი, სურამი, სოხუმი, ვანი, ახალციხე, ფოთი, ბანძა, საჩხერე და სხვ. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს, მათი ძირითადი რაოდენობა წარმოდგენილია თბილისში. ქუთაისში, გორში, ბათუმში. თითო-ოროლა ებრაელია შემორჩენილი. ონში, სურამში, რუსთავში, ახალციხეში და სხვ. სოფლები კი ებრაელებისაგან მთლიანად დაიცალა. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში. ონში(?), ახალციხესა(?) და სურამში(?).

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ქართველი ებრაელები (ადგილობრივი, დაახლ. 80%) და 2. ევროპელი ებრაელები (ამქენაზები). ადგილობრივ ებრაელები "სეფარად" ებრაელებად იწოდებიან, რაც არაზუსტია, რადგან "სეფარადი" ებრაულ ენაზე ესპანეთის ენოდება და სეფარადებად მიიჩნევა ესპანეთიდან ინკვიზიციის დროს დევნილი და შემდეგში ძირითადად ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში დასახლებული ებრაელობა. საქართველოში კი ებრაელობა უხსოვარ დროს მოვიდა და არა ესპანეთიდან გამოდევნის შემდეგ

საქართველოში სალოცვის შენობები, ზოგი მოქმედი და ზოგიც ნანგრევების სახით შემორჩენილია: თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ონში, ცხინვალში, კულაში, ქარელში, სურამში, გორში, ვანში, სენაკში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ბანძაში, საჩხერეში, სუჯუნაში, ლალიაში.

საქართველოს ლოცვებისა და მათ მდგომარეობის შესახებ ჩემი სტატიები ძირითადად ეფუძნება:

1. საქართველოში 60 წლიანი ცხოვრებისას ლოცვებში ჩემი ყოფნის შთაბეჭდილებებს, ჩემს ადრინდელ პუბლიკაციებს საქართველოს ლოცვების შესახებ;
2. ჩემს მიერ ან ჩემი მონაწილეობით, დამუშავებული საქართველოს მთელი რიგი, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი ლოცვების შენობების აღდგენა-გადმოკეთების პროექტებს,
3. 1997 წელს "ჯოინტის" დაფინანსებით (იმ პერიოდში "ჯოინტის" წარმომადგენელი საქართველოში ან. განსვენებული მიერ ზიზოვი იყო) ჩემს

მიერ ორგანიზებული ორი ექსპედიციის მასალებს (ფოტოგრაფი იური მეჩითოვი, მძლოლი, ინჟინერ-მშენებელი, ამზომველი გურამ ჯიმშელიანი). ექსპედიცია მოეწყო ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ონი, ცხინვალი, კულაში, ქარელი, სურამი, ვანი, გორი, ფოთი, ბათუმი, ბანძა, საჩხერე, ლალიაში. ექსპედიციების მიზანი იყო სალოცავების არსებული შენობების ფოტოგრაფირება, ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი შემდგომი შენარჩუნება-ქმედუნარიანობისათვის სათანადო რეკონსტრუქციების შემუშავება (ამ ექსპედიციების დროს გადაღებული სურათები შემდგომში ფარნოზ იქნა გამოყენებული შოთა ბოსტანაშვილის პუბლიკაციებში საქართველოს ლოცვების შესახებ).

4. არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის პუბლიკაციებს საქართველოს ლოცვების შესახებ;
5. სემიტოლოგ ნისან ბაბალიკაშვილის პუბლიკაციებს საქართველოში ებრაული წარწერების შესახებ (XVIII-XIX სს.);
6. აღმოსავლეთმცოდნე ილია ბაზოვის პუბლიკაციებს და განსაკუთრებით წიგნს "ებრაელები საქართველოში";
7. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებს;
8. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნს "ქართველი ებრაელები საქართველოში".
9. იუ.ანჩაბაძის და ნ.ვოლკოვას წიგნს "ძველი თბილისი". ქალაქი და ქალაქელები მე-19 საუკუნეში.
10. პოლინა ბაზოვის წიგნს "ფურცლები წარსულიდან. ბაზოვების ოჯახი".
11. გაზეთ "მენორას" პუბლიკაციებს;
12. ინტერნეტის საიტების პუბლიკაციებს და სხვ.

## თბილისის სალოცავები

დღეს თბილისში ორი მოქმედი სალოცავია: ერთი ახალციხელების ლოცვის სახელით ცნობილი, რომელიც მდებარეობს ოვანეს თუმანიანის და ყოფილი ლესელიძის, დღეს კოტე აფხაზის, ქუჩების შორის (№45-47), მეორე კი, იქვე ახლოს ტყავის ჩიხში, ამქენაზების ლოცვის სახელით ცნობილი, ლახლუხების ყოფილი ლოცვა. თბილისში არის აგრეთვე ყოფილი სალოცავების სულ მცირე სამი ან ოთხი შენობა: ყოფილი ამქენაზების სალოცავების 2 შენობა, ერთი აბესაძის, ყოფილი კათოლიკების, შემდეგ პირველი მაისის ქუჩაზე №10 და მეორე, ყოფილი ივანიძის, დღეს ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე; ერთი ადგილობრივი, ქართველი ებრაელების, ცხინვალიდან, ძირითადად მე-20 საუკუნის დასაწყისში, თბილისში ჩამოსახლებულელების, ცხინვალელების ლოცვის სახელით ცნობილი, ყოფილი ლესელიძის, დღეს კოტე აფხაზის ქუჩაზე ყოფილი იერუსალიმის ქუჩის გადაკვეთაზე და ერთი ცირანელი, სპარსი ებრაელების, ქურთისტანიდან გადმოსახლებული, ლახლუხების ლოცვის სახელით ცნობილი, ავლაბარში, ჩეხოვის ქუჩა №9 (ავლაბარში მშენებლობების გამო, დღეს შემორჩენილია თუ არა, არ ვიცი.)

მოკლედ მიმოვიხილოთ თბილისის ლოცვების ისტორია: 1902 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: "თბილისი. ურიები ძველადგანვე აქ მრავლად სცხოვრობდნენ. XII საუკუნეში აქ მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო. ძველად ებრაელები თფილისში ცხოვრობდნენ სიონის ახლოს, ფეთხანის აღმართზე. დღესაც მათი ძველი თორა ამ კუთხეში ძვეს. საშუალო საუკუნეების შემდეგ თფილისში ებრაელთა რიცხვი ძალიან შემცირდა. მუდმივმა ომებმა მათზე ძრეილად იმოქმედა. XIX საუკუნის დამდეგს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მაშინ მათი რიცხვი აქ ერთობ მცირე იყო. შემდეგ დროებაში აქ ქართველ ებრაელთა თავი მოიკრიბეს, უმეტეს ახალციხიდან გადმოვიდნენ. დღეს თფილისში მათი რიცხვი საკმარისია. აქვე ძველი თორა, ახლის ასაშენებლად ფულს აგროვებენ. ქართველი ებრაელი თფილისში ლახლუხად სცხოვრობენ, უმეტესად მისდევენ წვრილმან ალებ-მიცემას. ცოტა მათში მედუქნე-მოვაჭრენიც არიან."

აქედან ჩანს, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში ქართველ ებრაელებს აქვე ძველი თორა. ასე ეძახდნენ სალოცავს.

თბილისის ფეთხანის უბანში ებრაელთა სასაფლაო მდებარეობდა და ამ სასაფლაოზე ებრაული სალოცავიც იდგა. აღსანიშნავია, რომ თბილისის გეგმაზე, რომელიც შესრულებულია 1785 წელს რუსი ოფიცრის — ს.პიშჩევნიკის მიერ და 1782 წლის თბილისის გეგმაზე, №44-ით აღნიშნულია 1747 წელს არსებული ებრაელთა სალოცავი. იგი დაახლოებით დღევანდელი გომის ქუჩის II ჩიხთან იდგა, ბეთლემის მაცხოვრის შობის და

კლდის უზნის წმინდა გიორგის ეკლესიებს შორის. თბილისელ ებრელთათვისაც ტრაგიკული იყო ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევა: ალა-მაჰმად-ხანის ჯარმა მთლიანად ააოხრა თბილისი და ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყვიტა. ამ დარბევის დროს მრავალმა თბილისელმა და მათს შორის ებრაელებმა, დატოვა თბილისი. სავარაუდოა, რომ თბილისში არსებული სალოცავი ამ შემოსევის შედეგად დაინვა — შემოსევის შემდეგ აღარსად აღარ იხსენიება.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო ქართველი ებრაელების უზრუნველყოფის და თბილისში მათი თემის ჩამოყალიბებას. ამ დროისათვის თბილისში უკვე იყვნენ ლახლუხებამ წოდებული ქურთისტანიდან გადმოსახლებული ებრაელები და რუსეთის იმპერიიდან შემოსული ამქენაზი ებრაელები. ქართველი ებრაელებისა და ამქენაზების თემის ცხოვრება ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რელიგიურ რიტუალებში, წეს-ჩვეულებებში, ყოფაში განსხვავებამ, საერთო ენის უქონლობამ და კულტურის სხვადასხვა დონემ, ქართველ ებრაელთა და ამქენაზთა შორის დაძაბული ურთიერთობა განაპირობა. მათი დაახლოება მძიმედ მიმდინარეობდა.

1825 წელს თბილისში აღრიცხული იყო 58 ებრაელი, რომლებიც დროებით მაცხოვრებლებს განეკუთვნებოდნენ. 1864 წელს — 400 ებრაელი (მთლიანი მოსახლეობის 0.7%), 1876 წ. 1.1 ათასი (მთლიანი მოსახლეობის 1,2%), 1899-2.4 ათასი (მთლიანი მოსახლეობის 1,4%). ოფიციალური მონაცემებით 1896 წელს თბილისში ცხოვრობდა იუდაიზმის მიმდევარი (რუსეთის იმპერიის პასპორტში აღინიშნებოდა სარწმუნეობა და არა ეროვნება) სამი საზოგადოების — ქართველ ებრაელთა, ამქენაზების და ლახლუხების (რომლებიც სპარსეთის ქვეშემდომებად ითვლებოდნენ) 3.4 ათასი წარმომადგენელი.

თავდაპირველად ქართველ ებრაელებში ღვთისმსახურება და რელიგიური რიტუალების ჩატარება ხახამს (ქართველი ებრაელები კულტის მსახურს ხახამს უწოდებენ, რაც ჭკვიან, ბრძენ, განსწავლულ ადამიანს ნიშნავს) ჰქონდა დავალებული, მეტრიკული ჩანაწერების წარმოება კი ახალციხის რაბინს (რაბინი-თორით განსწავლული ხახამი, ჯამაათის, მრევლის ხელმძღვანელი ხახამი) ევალებოდა. 1892 წლიდან ქართველი ებრაელების თანხმობით, რელიგიური რიტუალების ჩატარება და მეტრიკული საქმის წარმოება ამქენაზთა რაბინს სიმხეკარაშს დაევალა. იგი ქალაქის მმართველობამ მთავარ რაბინად აღიარა. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ ებრაელებსა და ამქენაზების რაბინს შორის გაუგებრობა წარმოიშვა. პრობლემის მოგვარების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქართველ ებრაელებს მათი თხოვნის საფუძველზე 1899 წელს უფლება მისცა ჰყოლოდათ თავისი მთავარი რაბინი. თბილისელ ქართველ ებრაელთა საზოგადოებამ მთავარ რაბინად აირჩია იაკობ ნაფთალიშვილი (იაკობ ნამთალიშვილი — 1869-1944), რომელიც ადრე ახალციხის რაბინის თანამშემსე იყო.

თბილისში ებრაელობა მრავლდება ძირითადად ახალციხიდან, აგრევე ქუთაისის გუბერნიიდან გადმოსული ებრაელების ხარჯზე. მრევლის გაზრდის და „ბენთუნანთ დარბაზის“ შენობის ავარიულობის გამო, ქართველმა ებრაელებმა არსებულ სინაგოგასთან ახლოს ახალი შენობის აგება გადაწყვიტეს.

„ახალციხელების“ ლოცვა

1897 წლის ქართულ გაზეთში ვკითხულობთ: „ტფილისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს განუზრახავთ ძველთაძველი სალოცავის მაგირად, იერუსალიმის შესახვევში ააგონ ახალი დიდი სალოცავი. ამ საქმეს სათავეში უდგანან ებრაელთა რაბინი ლევინი და აბრამ გორელაშვილი და 3000 მანეთი უკვე შეუკრებიან ამ საქმისათვის.“

გაზეთი "ივერია" 1903 წლის 25 იანვარს წერდა: "დიდი ხანია, ტფილისის ეგრეთწოდებულ ქართველთა ებრაელთა განიზრახეს საკუთარს სამლოცველოს (თორის) აგება ტფილისში, მაგრამ დღეს აქომამდე მართლა რომ ქართველ ურიათა უთაობა აფერხებდა ამ საქმეს; ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქართულ ენაზედ მოლაპარაკე ებრაელებს მიუციათ თხოვნა გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ, რომ ნება დაგვრთეთ ჩვენს შორის შევგაროვოთ ფული საკუთარს თორის ასაგებად. გუბერნატორს ებრაელებისათვის ნება დაურთავს იმ პირობით, რომ ხელისმონწერა გაიმართოს მხოლოდ ტფილისის გუბერნიის და ისიც ერთი წლის ვადით, ამასთანავე, გუბერნატორს დაუვალდებია პოლიცემისტერისათვის გამოუცხადოს ქართულად მოლაპარაკე ებრაელებს, რომ

შემდეგში არ იწოდებოდნენ ქართველ ებრაელებად, არამედ იწოდებოდნენ ადგილობრივ ებრაელებად".


1909 წელს გაზეთ "დროებაში" ვკითხულობთ: "ქართველ ებრაელთ თავიანთ სამლოცველოს დამთავრება ტფილისში ძალიან უჭირდებათ, რადგან ასეთ უზარმაზარ შენობას დიდი ფული უნდა. შენობა ლამაზი და საყურადღებოა, გარედან შენობა დაამთავრეს, მხოლოდ შინაგანი მოწყობილობა აკლია უნდა ააგონ აგრეთვე სკოლის შენობაც, რისთვისაც ქართველ ებრაელნი თავიანთ მორჯულეთაგან მოელაიან დახმარებას. ეს დიდი შენობა მთლად ქართველ ებრაელთა წვლილით არის ნაშენი. ევროპიდან ან რუსეთიდან მოსულ ებრაელებს ამათთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არა აქვთ. მოსულ ებრაელებს ტფილისში ორი სინაგოგა აქვს, მაგრამ ქართველი ებრაელები მაინც საკუთარ სინაგოგას ააგებენ."

„მათ მშენებლობა ისე დაამთავრეს, რომ დღეს შიგ ლოცვასაც ასრულებენ. შენობა არის ფართო, ვრცელი, მაღალი, სულ აგურით ნაშენი, ამოდენა შენობის აგებაში მათ სხვა რჯულისა არავინ დახმარებია, სულ თავიანთის შრომით და ღარიბის ჯიბით გააკეთეს იგი. ამისათვის მათ მეტად დიდი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ როგორც იქნა დაამთავრეს.“ — წერს გაზეთი "სინათლე" 1911 წელს. ასე რომ, თბილისის ახალციხელების სალოცავის მშენებლობის ვადებია 1903-1911 წლები და ისიც ჩანს, რომ მოსულ ებრაელებს (ამქენაზებს) 1909 წელს ტფილისში ორი სინაგოგა აქვს.

ასეთ დიდ მშენებლობას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა. იგი სახალხო, საჯამაათო მშენებლობა იყო, ახალციხელ ებრაელთა საზოგადოება მას სულით და გულით სწირავდა საკმაოდ სოლიდურ თანხებს. ახალციხელ ებრაელ თავკაცთა შორის, რომელნიც განსაკუთრებული ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ, აღნიშნავენ დავიდ ბახანაშვილს (ბახანოვს), აბრამ გუჯიაშვილს, იოსებ ჩარუხჩიშვილს (ჩარუხჩევს), შალომ აბაჯანაშვილს (აბაჯანოვს), რეუბენ ჩაჩანაშვილს, შათარაშვილ (შათარანთ) იაკობას, ქურჩიშვილ დავითს და სხვა. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბაქოდან ჩამოსულ გორელიანთ შალომას და წარმომოხით ახალციხელ, ბაქოში მოღვაწე მრეწველ ისრაელ ქურჩიშვილს, რომელმაც არა მხოლოდ თვითონ შესწირა მნიშვნელოვანი თანხა, არამედ სხვა შეძლებულ ებრაელებსაც მოუწოდებდა აქტიურად მიეღოთ შეწირულობებში მონაწილეობა. სალოცავის მშენებლობას ხელმძღვანელობდა რეუბენ ჩაჩანაშვილი. რაც შეეხება შენობის არქიტექტორს, სამეზობროდ, მისი ვინაობის დადგენა ვერ მოვახერხებ, მაგრამ როგორც იხსენიერ-მშენებელმა, სალოცავის შენობის და კომპლქსის არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადამწყვეტილებებიდან გამომდინარე, შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ ამ სალოცავის შენობა-კომპლექსის არქიტექტორი იყო მაღალი დონის ევროპული განათლებული და სტილის პროფესიონალი არქიტექტორი (არქიტექტორის შესახებ დამატებით იხილეთ ჩემი მოსაზრება შემდგომ, პარაგრაფში 1.5 "ამქენაზების ყოფილი ლოცვა ყოფილი კათოლიკების ქუჩაზე"). აქვე უნდა ავლიწმნო, რომ იმ დროს თბილისში მშენებლობის მაღალი დონე იყო — აშენდა მრავალი არქიტექტურულად ღირსშესანიშნავი ნაგებობა.

თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგა წარმოადგენს დიასპორის ებრაული საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციულ კომპლექსს. მისი განაშენიანების ფართი დაალოებთ 1150 კვ. მ-ია. მის შემადგენლობაში შედის: "დიდი ლოცვა" (მთავარი შენობა); "პატარა ლოცვა"; მაცის საცხობი (მაცის საცხობის ადგილას დღეს რესტორანი "დავითია" განთავსებული); ფრინველის საკლავი; დაკლული ფრინველის საპუტი; მიკვე (რიტუალური განბანვის ოთახი); ტუალეტი; დარაჯის ჯიხური; სამეურნეო სათავსები (ქაშერი ღვინის დასამზადებლად და სხვადასხვა დანიშნულებისათვის).ამავე კომპლექსში შედიოდა ეზოში მეორე სართულზე მდებარე საცხოვრებელი სათავსი (1976 წლამდე იქ ცხოვრობდა რაბი ყიმანუელ დავითაშვილი ოჯახით). სინაგოგის კომპლექსში შედიოდა თალმუდ-თორა (ებრაული სკოლა), რომელიც დღევანდელი პატარა ლოცვის მეორე სართულზე იყო განთავსებული. გასული საუკუნის 50-იან წლებში შენობის მეორე სართული ჩამოინგრა და აღარ აღუდგენიათ.

თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგა "დიდი ლოცვა" იუდაიკის ტრადიციის კვალობაზე



იერუსალიმისკენ ე.ი. სამხრეთისაკენ არის ორიენტირებული გრძივი ღერძით, შემოსასვლელიდან წმინდა კარადის მიმართულებით, რაც დიასპორის სინაგოგების უძველეს ტრადიციას შეესაბამება. შენობა გეგმაში სწორკუთხედიან, ამენებულია ნითელი აგურით, კაპიტალურად, თუმცა, ანტიციკლიკური რაიმე კონსტრუქციული ღონისძიებების გარეშე (იმ დროს სპეციალური ანტიციკლიკური მშენებლობა არ არსებობდა). მისი გარე ზომებია 15ხ24,5მ, სიმაღლე 15.5მ. "დიდი ლოცვა" ორსართულიანია, მეორე სართული ორსინათლიანია. ყოველ სართულზე განთავსებულია სალოცავი დარბაზი. შენობა სტილისტურად უახლოვდება რომანულს, ფასადების ნაწყვენი თემაა წრიული (3.5 დიამეტრის), ფერადი ვიტრაჟები ექსოგრა-რის (ებრ. „მაგენ დავითი“) გამოსაუღლებით. შენობა მოსულ რელიეფზეა ამენებული, ამიტომ სინაგოგის მეორე სართული უკანა ფასადით გადის თუმანინის ქუჩაზე. შენობის პირველი სართული დაყოფილია ოთხ სტრუქტურულ ნაწილად. წინა სივრცე ჰოლს წარმოადგენს- მარჯვნივ სალოცავის კანტორაა, მარცხნივ სამმარშიანი კიბე, რომელიც მეორე სართულის სალოცავ დარბაზს უკავშირდება. დანარჩენ სამსტრუქტურულ ნაწილს, ორი აგურის თაღოვანი კონსტრუქციით, სალოცავი დარბაზი აერთიანებს. თაღების საყრდენების სიგანე 1.0 მ-ია, სიგრძე 2,5 მ, საყრდენებს შორის თავისუფალი გასასვლელი მანძილი 8.3 მ-ია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონსტრუქციულად იმ დროისათვის 14.3მ მაღის სართულშუა გადუბრისათვის ძალიან კარგი გადაწყვეტაა.თაღებს შორის დარბაზის ცენტრში აღმართულია თება, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, უკანა განივი კედლის ცენტრში განთავსებულია არონ-ჰაკოდეში("თება"-როგორც წესი, სალოცავი დარბაზის შუაში ამაღლებული ადგილი, პატარა ფართობი, კათედრა ხაზნისათვის, საჯამაათო მლოცველისათვის, ლოცვის რიტუალის ნაწყვენიანათვის, "არონ ჰაკოდეში", იგივე "ჰეხალი"-წმინდა კარადა, სადაც "სეფერ თორა"-თორის ხუთნიგნეულის გრაგნილი ინახება). პირველი სართულის სალოცავი დარბაზის ფართი არის 204.8 კვ.მ.მლოცველთათვის დაახლოებით 200 ადგილზეა. სიმაღლე(ნეტო) არის 5.70 მ, კედლების სისქე ცვალებადია-ძირითადად 85.0;95.0;115.0სმ. „ჰეხალის“ კედლის მიწის ქვეშა ნაწილის სისქე 255 სმ-ია.ამ კედელში სამი განჯინა სეფერ თორების შესანახად. განჯინების სიღრმე 2.0 მ, სიმაღლე — 2.30 მ, სიგანე -განაპირების -1.60 მ, შუაში-2.0 მ-ია. უნდა აღინიშნოს, რომ „ჰეხალის“ კედელი პირველ სართულზე თუმანინის ქუჩის მრიდან ეზოს საფარი ნიშნულის ქვემოთაა (მიწის ქვეშა) და ამავე დროს საყრდენი კედლის ფუნქციასაც ასრულებს.

გაგრძელება იქნება

მოჰა დანიელი (მოსა დანიელაშვილი) ინჟინერ-მშენებელი, მეცნიერებათა დოქტორი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, ისრაელი

# საქართველოს ებრაელი მეცნიერები

## მე 19–20 საუკუნე

**„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავთ ყოველ ერს ეროვნება, თავისი ვინაობა“**

**- ილია ჭავჭავაძე**

ნებისმიერი პროცესი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობით აიხსნება. საქართველოს ებრაელთა თემში მრავალი მეცნიერი აღიზარდა, რამ განაპირობა ეს ფაქტი?

1) საქართველოში ანტისემიტიზმმა გასაქანი ვერ ჰპოვა - ებრაელების რელიგიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე;

2) ებრაელობა ირმიპაუზ ნინას-წარმეტყველის სიბრძნეს მიჰყვებოდა: „ილოცეთ იმ ქვეყნის საკეთილდღეოდ, სადაც იცხოვრებთ“;

3) ებრაულ ოჯახში შვილს დაბადებთანვე უნერგავდნენ არისტოტელეს სულ სიბრძნეს: „განათლება არის საშუალება კარგი მომავლის მისაღწევად“;

4) მშობლები თავად კი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ შვილებს ცოდნის მიღებაში და ხანგრძლივ სასწავლო პროცესში.

მეცნიერი არის ერთ-ერთ დარგში კარგად მცოდნე-სპეციალისტი, რომელიც კვლევაში სამეცნიერო მეთოდებს გამოიყენებს. მე 19 საუკუნეში მეცნიერება აღწერლობით ხასიათს ატარებდა და მითუმეტეს ჩვენი თემის ისტორია ყამირს წარმოადგენდა.

1933 წელს დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და მის დირექტორად დაინიშნა მწერალი, ბრწყინვალე მეცნიერი, მკვლევარი, არქეოლოგი **არონ კრიხელი** (1906-1974), რომელსაც დაპატიმრებამდე ხელმძღვანელობდა. მუზეუმის სათავეში ქართულ-ებრაული ისტორიოგრაფიის მემკვიდრე - **ილია პაპისმედოვი** (1902-1980) ჩაუდგა. მან მიმზიდველად წარმოაჩინა ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრების არაერთი მხარე ნაშრომში „ნანახი, განცდილი, გაგონილი“.

პროფ. არონ კრიხელის ხელმძღვანელობით მეცნიერი ქალი და პედაგოგი - **რივა ნითლიშვილი** (1926-1970) ნაშრომით „ბავშვის დაბადება, აღზრდა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი ძველად საქართველოს ებრაელებში“ საგრძნობლად ავსებს წარსულის შესწავლის სფეროში არსებულ ხარვეზს.

მუზეუმის სწავლული მდივანი **მოტკე მამისთვალოვი** (1925-1986) ხელმძღვანელობდა ებრაულ სექციას. მისი სამეცნიერო ნაშრომი შეიცავდა მრავალ ცვლილებას ენათმეცნიერებაში, რამაც დისერტაციის დაცვის შეუძლებლობა განაპირობა.

ამ ნაყოფიერ პერიოდში მუზეუმში თანამშრომლობდა ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი - **როზა თავდიდიშვილი** (1886-1967), რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო გიმნაზიადამთავრებულ ქალთა შორის, იგი მრავალ დაბრკოლებას წააწყდა თავის ბრძოლაში, რომ ქალები ვინრო ოჯახური ჩარჩოებიდან გამოეყვანა, დაეძლია მათი რელიგიური ფანატიზმი. მისი შემოქმედების გვირგვინია (1940) „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებად“.

საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ფოლკლორის კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრკ კომპოზიტორთა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი, მრავალი შრომის ავტორი მუსიკაში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ქარ-

თული მუსიკის ისტორიის თეორიის მასწავლებელი - **მირა ფიჩხაძე** (1926-1991). ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა აღნიშნავდა: „ჭეშმარიტება, თუ ის მრავალთაგან არ არის აღიარებული, არსებობას როდი წყვეტს“ დოქტორმა **ლილი მაღალმა** (მაღალაშვილი) მიზნად დაისახა ქართველ ებრაელთა ყოფის წარმოჩენა, სიძველეთა შესწავლა და მათი სისტემაში მოყვანა და 1992 წელს თელ-ავივის უნივერსიტეტის დიასპორის მუზეუმში მოაწყო გამოფენა „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ ამით ერთგვარად შეაჯამა გალუთში ჩვენი ყოფის ისტორია.

სიბნელებაში ანთებული სანთელივით გამოანათა დოქტორმა **ნისან ბაბალიკაშვილი** (1938-1986) - სემიტოლოგმა, ლინგვისტმა და ისტორიკოსმა, რომელმაც 1971 წ. დისერტაცია დაიცვა თემაზე „ებრაული წარწერები საქართველოში“.

ეროვნული ღირსების მატარებელი მეცნიერი პირველთაგანი მოევიწინა თსუ სტუდენტებს თანამედროვე ივრითის მასწავლებლად.

ცნობილია, რომ ეროვნულ-საზოგადოებრივი აზრის სამჭედლო უმთავრესად ჰუმანიტარიებს მიეკუთვნება. გამოჩენილი ენათმეცნიერის პროფ. **რაფაელ შამელაშვილის** (1968) ღრმა ცოდნამ „მეტყველების კულტურის შესახებ“ გაამდიდრა ქართული ენის მკვლევართა მონაპოვარი.

განუზომელია კავკასიოლოგ პროფ. **კონსტანტინე ლერნერის** (1941) წვლილი საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნო-ლინგვისტიკის ანალიზში. მის მიერ არის გამოქვეყნებული 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი - მათ შორის 4 მონოგრაფია. 1991 წლიდან იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

პროფესორმა, გერმანისტმა - **ლულია თეთრუაშვილი** (1941-2007) ძირფესვიანად შეისწავლა „პანთეონის პრობლემები ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში“. ახლახან გამოიცა მისი მონოგრაფია - „სალიტერატურო-სამეცნიერო კვლევანი. ესეისტური წერილები“.

**რუბენ ენოხი (ენუქაშვილი)** (1946) პროფესორი, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის კუსრდამთავრებული, ტელევიზიის და კინოს სასცენარო ფაკულტეტზე პარალელურად სწავლობდა. (1974წ.) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი გახლდათ, შემდგომში კი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამჟამად არივლის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ამას უთავსებს კავკასიის და ცენტრალური აზიის ებრაელთა კვლევის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობას.

**იცხაკ დავიდი** (1946) თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. 1972 წ. ისრაელში აყალიბებს კავკასიოლოგიურ ცენტრს. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში არის მინვეული პროფესორის სტატუსით; 1983-1992 წლებში მთავრობის მეთაურის - იცხაკ შამირის მრჩეველია; 1996 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

დოქტორ **ლილი ბააზოვს** - თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღზრდილს, მრავალი საინტერესო სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული საქართველოს და ავღანეთის ისტორიიდან,

მან გამოსცა დიდტანიანი ნაშრომი „Евреи в Грузии“.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ნიმუშების ბრწყინვალე მთარგმნელი, პროფესორი **ჯემალ აჯიაშვილი** (1944-2013) ლექციებს კითხულობდა თსუ და უცხოენათა ინსტიტუტში, ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. საქ.სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახლდათ (1984).

პროფესორი აბონ ციციაშვილი (1930-2002), ისტორიკოსი, საქართველოს რადიო და ტელევიზიის საერთაშორისო მიმომხილველი ნიგნში „ებრაელები და საქართველო“ ამდიდრებს თავისი კვლევით მრავალთათვის უცნობი ფაქტებით.

საქართველოს ებრაელთა მემკვიდრე გახლდათ ბატონი **დანიელ ხანაშვილი** (1933-2005), რომელმაც ერთ მიზანს დაუქვემდებარა შეგნებული ცხოვრება: თავისი ცოდნა საყვარელი ქალაქისა და ხალხის ისტორიის შესწავლას მოახმარა. კითხულობდა კურს „ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხები“.

პროფესორი **ნოდარ ჯინჯინაშვილი** (1947-2002) თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის და საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მწერალი, ჟურნალისტი და ფილოსოფოსი, როკფელერის პრემიის ლაურეატი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. 30 წლის ასაკში იყო აღიარებული, როგორც ფილოსოფიის ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი, საოცარი ერუდიტი და დახვეწილი ინტელექტუალი.

**შოთა ბოსტანაშვილი** (1948-2013) არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო და ესეისტური წერილი, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალებში: „მნათობი“, „აფრა“, „ჩვენი მწერლობა“. გაზეთში „მენორა“ ავტორი გახლდათ უბლიკაციის „სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში“.

დოქტორი **ზოია ჯინჯინაშვილი** (1957) - მოღვაწეობდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ავტორია 50 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის. მის კალამს ეკუთვნის (2012) ნიგნი „ებრაელები და საქართველო. დიასპორა თუ...“

დოქტორი **შალვა ნინუაშვილი** (1937) - სემიტოლოგი, დიდი ღვაწლი დასდო ივრითის შესწავლაში 80-90-ანი წლების ალიას. დავიდ ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი (1992-2001) დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

დოქტორი **გერშონ ბენ-ორენი (ნინუაშვილი)** (1938), ენათმეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე აქტიურად მონაწილეობდა ებრაული კულტურის განვითარებაში (1966 წ.) ფაინა ბააზოვასთან ერთად გახლდათ სიონისტური წევრი - სსრკ კავშირის სიონისტთა პირველი შეხვედრის მონაწილე.

პროფესორი **შალვა ჩიკვაშვილი** (1931-2012) - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი - 250 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 25 ნიგნი, რომელიც დღემდე უცვლელ სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული იურისპრუდენციაში. 1985 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ლეონარდო და ვინჩი ამბობდა: „მსოფლიოში თეორიის გარეშე მოვლენათა ცქერა იგივეა, რაც ზღვაში



გემით საქვს გარეშე შესვლა“. ჩვენი თემის მკვიდრნი მრავლად არიან წარმოდგენილი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში. **სიმონ შათაშვილი** (1910-1996) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სტუ-ს თეორიული მექანიკის კათედრაზე მუშაობდა. ს.შათაშვილი 16 სახელმძღვანელოს ავტორია.

პროფესორი **მარკ რუბინშტეინი** (1915-1978) - გეოლოგი და პალეონტოლოგი. მის მიერ იქნა შემოთავაზებული საქართველოში სეისმოტექნიკური ზონირების სქემა. მათემატიკოსი,

დოქტორი **ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი** (1920-2017) მუდამ გამოირჩეოდა ნაპერწკლოვანი ორიგინალური სხარტი აზროვნებით და სათავეში უდგას ავანგარდულ კვლევას. აყალიბებს პროგრამირების და შემდეგ საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილებებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. მიზნად ჰქონდა დასახული ხალხის დახმარება, უნარის და ცოდნის არდაზოგვა და მხარში ამოღებოდა.

პროფესორი **ბორის ჩიკვაშვილი** (1926-2005) ჰიდროტექნიკოსი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგე. 200 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 15 ნიგნი და სახელმძღვანელო.

პროფესორი **ლული შათაშვილი** (1928-2000) ავტორია 200-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 3 მონოგრაფიის. ზოგიერთი მისი კვლევის შედეგი კლასიკურად ითვლება და შეტანილია ამერიკულ სამაგიდო ენციკლოპედიაში. ის ითვლება კოსმოსური სხივების კოსმოფიზიკური ასპექტის შესწავლის პიონერად საქართველოში. ლული შათაშვილი დაავადებულმა ძვირფასი მეცნიერული და გენური მემკვიდრეობა.

პროფესორი **ნანა შათაშვილი** - თეორიული ფიზიკის ინტერნაციონალური ცენტრის წამდელი წევრი, თსუ და ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის და მაგნეტოჰიდროდინამიკის, ნივთიერებებზე ლაზერის მოქმედების საკითხებში მთავარი ექსპერტი, სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისიის ხელმძღვანელი.

**სამსონ შათაშვილი** - ირლანდიაში, დუბლინის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯის პროფესორია, მსოფლიოს მრავალი უმაღლესი სასწავლებლის მინვეული და საპატიო პროფესორი უმაღლესი მათემატიკის დარგში.

**გაგრძელება იქნება**

**პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი - თელ-ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკ-ტი**

# რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



შიმონ ნიშვაშვილი

„შემაშობ“

ხუთნიგნეულის მეორე ნიგნის — „შმოთის“ და-სანყისში უადგილო არ იქნება ვიმსჯელოთ ერთ საინტერესო ფაქტზე. ებრაული წლის შუაში, არის პერიოდი რომელსაც ჰქვია „შოვაიმი“ და იწყება თორის თავით „შმოთ“, სრულდება „მიშფატიმი“-ით. (სახელწოდება მიღებული აქვს ამ პერიოდში ნკითხული თავების პირველი ასოების გამო: (შმოთ, ვაერა, ბო, ბეშალახ, ითრო, მიშფატიმი.) ამ დროს მიღებულია ოჯახური სინამდის წესების შესწავლა და წესების, რომელიც მამაკაცისა და ქალის ურთიერთობას ეხება.

ჩვენ გვაქვს პერიოდები, როდესაც შეგვიძლია უფრო მეტად დავუახლოვდეთ ჰაშემს, ვიდრე წლის სხვა დროს, ასეთია მაგალითად: მონანიების ათი დღე ეულის თვეში, ნიგნში „შნი ლუხოთ ჰაბრით“ წერია, რომ ზუსტად ამ თავების ნაკითხვის დროს, განსაკუთრებულად იზრდება ჰაშემის ზეგავლენა.

თუ კარგად დავუკვირდებით, კვირის თავების კითხვის დროს შეგვიძლია დავინახოთ ანალოგი იმ მოვლენებსა, რაც იქ წერია და ჩვენს ცხოვრებას შორის, მაგრამ საკითხავია ზემოთ მოხსენიებული კვირის თავები როგორ მოქმედებენ გამოსწორებაზე. ჩვენი მასწავლებლები ამბობენ, რომ ჰაშემის მოახლოება ამ სამყაროსთან აძლიერებს მონყალების თვისებას ხოლო მისი დაშორება ამ სამყაროდან და მისი დაფარულობა აძლიერებს სასამართლოს თვისებას, ამ თვისებების გამოვლინება პირდაპირ აისახება ხალხზე.

კვირის ეს თავები გვამცნობენ ჰაშემის გამოვლინებას და მოახლოებას ამ სამყაროსთან: ეგვიპტის სასწაულები, გამოსვლა ეგვიპტიდან, ზღვის გაყოფა და თორის ჩუქება. ამ კვირის თავების ნაკითხვისას ვგრძნობთ იგივე სიყვარულს, რომელიც გამოუმულავნა ეგვიპტიდან გამოსვლის დროს. ამიტომ ამ პერიოდში საშუალება გვქვია მივიღოთ ჩვენს თავზე ეს თვისება და შევინარჩუნოთ ჩვენში სინამდის.

ახლა ჩავატაროთ პატარა ექსკურსი კვირის თავთან დაკავშირებით:

გავითვალისწინოთ სხვისი ტკივილი და გავიზიაროთ სიხარული

„გამოვიყენოთ სიბრძნე რათა ისინი (ისრაელის შთამომავლები) არ გამრავლდნენ, რადგან როცა იქნება ომი, შეუერთდებიან ჩვენს მტრებს, შეგვებრძოლებიან და წავლენ ქვეყნიდან“ (შმოთი 1:10)

თალმუდში (სოტა) წერია, რომ ფარაონი რჩევას იღებდა სამი ადამიანისგან: ბილყამის, იოვისა და ითროსგან თუ როგორ მოქცეოდა ებრაელებს. ბილყამმა რომელმაც ურჩია ებრაელების თვალთვალი და მათი დახოცვა, თვითონ იქნა ებრაელის მიერ მოკლული (ფინხასი, ლევის მუხლიდან), იოვი რომელიც გაჩუმდა, ჰაშემისაგან საშინელი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა მიიღო, ხოლო ითრო, რომელმაც დაიცვა ებრაელები, წილად ხვდა ის, რომ მისი შთამომავლები გახდნენ თორის დიდი მცოდნეები და შევიდნენ სანჰედრინში (ებრაელთა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო)

ერთი შეხედვით გაუგებარია თუ რისთვის დაისაჯა იოვი, ფარაონი ისედაც ებრაელების სანინამდევოდ იყო განწყობილი, და იოვსაც ისევე არ მოუსმენდა, როგორც ითროს არ მოუსმინა, რომელიც თავისი რჩევის მერე იძულებული გახდა ფარაონისგან გაქცევით ეშველა თავისთვის.

ბრისკელი რაბი იცხაკ ზევე სოლოვეიჩიკი კლასიკურ ახსნას გვთავაზობს: მიუხედავად იმისა, რომ იოვმა იცოდა, რომ არაფრის თქმას არ ქონდა აზრი, ის ვალდებული იყო მოქცეულიყო ითროს მსგავსად. როცა ადამიანს სტიკავა ყვირის, ხოლო თუ ჩუმადაა, ესე იგი არ სტიკავა. მას უნდა ეგრძნო სხვისი ნუხილი ისე, როგორც საკუთარი და უნდა ეყვირა, ახლა კი მას თავად მოუწია ეტანჯა.

## რაბინ იცხაკ იოსეფის სკანდალური განცხადება

დეკემბრის ბოლოს იერუსალიმში ჩატარდა ისრაელის რაბინთა ყრილობა, რომელზეც სიტყვა წარმოსთქვა სეფარად ებრაელთა მთავარმა რაბინმა იცხაკ იოსეფმა (ან განსვენებული რაბი ოვადია იოსეფის შვილი, რომელიც ადრე გახლდათ პარტია „შასის“ სულიერი ლიდერი და სეფარად ებრაელთა მთავარი რაბინი). იცხაკ იოსეფმა ყრილობაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ისრაელში ჩასულთ რეპატრიანტებთან დაკავშირებით განაცხადა:

— დაბრუნების კანონის მეოხებით, რომელიც ისრაელში რეპატრიაციის უფლებას აძლევს ებრაელთა შვილიშვილებს, ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ასობით, ან ათობით ათასი უცხო (გოიმი). შემოვიდა. დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი უცხო იმყოფება, მათი ნაწილი კომუნისტია, ისინი არ ღებულობენ, ან სძულთ რელიგია, ისინი არ არიან ებრაელები, უცხონი არიან, ამიტომ არჩევნებზე იმ პარტიას აძლევენ ხმას, რომელიც ხალხს ორთოდოქსებისა და რელიგიის წინააღმდეგ განაწყობს.. ისინი ისრაელში იმისათვის შემოიყვანეს, რომ დააბალანსონ რელიგიური მოსახლეობის პოლიტიკური გავლენა. სწორედ ამისთვის შემოიყვანეს აბსოლიტურად უცხონი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ მათი გარჯის ნაყოფს.

რაბინის ამ განცხადებამ მოსახლეობის, საზოგადო მოღვაწეთა, პოლიტიკოსების ერთი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. რაბი იოსეფ იცხაკს ძლიერ შეუტყის. ამის გამო იცხაკ იოსეფმა გაავრცელა განცხადება:

— მე მკაფიოდ ვთქვი ის, რისი თქმაც მენდა და ჩემს მოსაზრებას არ უარყვოვ: კურთხეულ ალიასთან ერთად, რომელშიც შედიან ასულ ათასობით ებრაელები თავგანწირულად რომ იბრძოდნენ თავიანთი რელიგიურ-ეროვნული იდენტობისათვის, ისრაელში შემოვიდნენ ისინი, ვინც ებრაული ტრადიციის მიხედვით, ებრაელად არ მიიჩნევიან. ისინი, ვისაც ისრაელში ასეთი ადამიანები შემოჰყავს, უწინარესად, მათს წინაშე იქცევიან არასწორად.



ხაზონიში წერს იმაზე თუ, როგორ ვისწავლოთ სხვისი ნუხილის გაგება, „რათა შევიძინოთ შესაძლებლობა შევიგრძნოთ სხვისი გაჭირვება, როგორც საკუთარი: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენს ხელთაა, რათა დავეხმაროთ მას, ვინც იტანჯება და დავიცვათ იგი ამისაგან, ეს ქმედება იწვევს დადებით ემოციებს და უნდა ვილოცოთ იმაზე, რომ სხვა იყოს კარგად იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავიდან ვერ ვგრძობთ სხვის ნუხილს.

„მაგრამ ქალეხი ემინოდათ ჰაშემის და არ აკეთებდნენ ისე, როგორც ეგვიპტის მეფე ეუბნებოდა და ტოვებდნენ ბავშვებს, რომ ეცოცხლად“ (შმოთი 1:17)

ჩვენ ფარაშაშია, რომ ბებია ქალეხი ფარაონის ბრძანების შეუსრულებლობით თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ — ათასობით ებრაელ ბავშვს ისინი არა მარტო ცოცხალს ტოვებდნენ, არამედ კვებავდნენ კიდევ მათ. რაოდენ დიდებული იყო მათი თავდადება! მან ვინც გადაარჩინა ერთი სიცოცხლე, თითქოსდა გადაარჩინა მთელი სამყარი (თალმუდი სანჰედრინი) მიუხედავად ამისა, თორა გვეუბნება მათზე: რომ ემინოდათ ჰაშემის ბებია ქალეხს და არ აკეთებდნენ როგორც ეუბნებოდა ეგვიპტის მეფე - განა აღიდებს მათ, არამედ ხაზს უსვამს იმას, რომ მათ ჰქონდათ ჰაშემის შიში. ამით ვიგებთ, რომ ადამიანის სიკეთე გამოდინარეობს ჰაშემისადმი შიშით, პირდაპირ ჰაშემთან, სწორედ ამის დამსახურებით ქალეხმა გამოავლინეს ასეთი სითამამე-დაერღვიათ ყოვლისშემძლე ფარაონის ბრძანება.

„იმ დღეებში, გაიზარდა მოშე, გავიდა თავის ძმებთან და დაინახა მათი ტანჯვა. და დაინახა ეგვიპტელი როგორ ურტყამს ერთ-ერთს თვისი ძმებიდან“ (შმოთი 2:11)

რაში ციტირებს მიდრაშს (შმოთ რაბა) რომელშიც ნათქვამია, რომ მოშე თანაუგრძნობდა თავის თანამოძმეებს, ეს პირველია, რასაც თორა მოშეს შესახებ გვეუბნება. ებრაელები იყვნენ მონებად ეგვიპტეში და მოშე, რომელიც ფარაონის ქალიშვილი იყო, გაიზარდა სასახლეში, სიმშვიდეში, სიმდიდრეში, უზრუნველად. არ იცოდა მთელი ერის ტანჯვისა და დამცირების შესახებ, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობდა მოშეს სიღიადე: მან გამიზნულად დატოვა სასახლე, რათა გასულიყო ხალხში და ეგრძნო მათი ტანჯვა, რათა მთელი ებრაელების ტკივილი გამხდარიყო მისი პირადი ტკივილი. ამის გამო მოშეს მიეგო გამხდარიყო ერის ლიდერი და მიეღო თორა სინაის მთაზე.

მოშე ზრუნავდა თითოეულ ადამიანზე: როდესაც მან დაინახა, რომ ერთ-ერთ მათგანს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მზად იყო არაფრად ჩაეგდო თავისი პრივილეგიური მდგომარეობა სასახლეში, რისკის ქვეშ მოექცია თავისი სიცოცხლე, რომ გადაერჩინა იგი.

„გამოვიდა მეორე დღეს და აი კამათობს ორი ებრაელი და უთხრა ცოდვილს: რატომ ურტყავ შენს ახლობელს?“ (შმოთი 2:13)

თალმუდი ხსნის: რომ ვისაც მოშემ რაშაყი (ცოდვილი) უწოდა, მას ჯერ არ ჰქონდა დარტყმული, მან მხოლოდ ხელი აღმართა ამის გასაკეთებლად. „ყოველი რომელმაც ხელი აღმართა, რათა დაერტყა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ დაურტყამს, ცოდვილად ითვლება“. (სანჰედრინი) თალმუდი კი დასძენს: ის, ვინც სხვა ებრაელს ლოყაში მოარტყა, თითქოსდა ჰაშემისათვის დაერტყას.

„მოვიდნენ მწყემსები და გააგდეს ისინი (ითროს ქალიშვილები), მაგრამ ადგა მოშე და გადაარჩინა ისინი და დააღვინა მათ საქონელს წყალი“ (შმოთი 2:17)

აჩვენა რა მოშემ თავისი სიკეთე ხალხს, თორა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ ის ასევე ექცეოდა სხვა, უცხოთა ერის ხალხს, მოშეს მოუწია ეგვიპტიდან გაქცევა, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, ის ნავიდა უცხო ქვეყანაში, მიდიანში, და დაინახა როგორ უღირსად მოექცნენ მწყემსები ითროს ქალიშვილებს ჭასთან. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სადარდებელიც ყოფიდა — იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში მარტო და არ იცოდა მისი კანონები, მაგრამ მას არ შეეძლო აეტანა უსამართლობა და ჩაერია რათა დახმარებოდა უცხო ადამიანებს. და იგი არა მარტო დაეხმარა ითროს ქალიშვილებს, მათს ფარას წყალიც დააღვინა („ხოხმა უ მუსარ“).

„ხოლო მოშე მწყემსავდა ითროს ფარას — თავისი სიმამრის, მიდიანელთა ქურუმის და ნაიყვანა საქონელი უდაბნოს გავლით და მიიყვანა ხორეფთ, ჰაშემის მთასთან“ (შემოთი, 3:1)

რაშის მოყავს მიდრაში, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ნავიდა მოშე მწყემსად უდაბნოში, არ მომხდარიყო ქურდობა, რათა მის საქონელს არ ექმამა სხის მიდრაში. („შმოთ რაბა“)

თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, თუ სად აღმოჩნდა ცხვრებით მოშე (მიდიანიდან გამოსვლის შემდეგ ის მივიდა სინაის უდაბნოში, სინაის მთასთან), დავინახავთ თუ რა შორს იყო იგი წამსვლელი რათა არ ჩაედინა ეს ცოდვა.

უარი რაში ციტირებს მიდრაშს, რომელშიც ნათქვამია, რომ შვიდი დღის განმავლობაში მოშე უარს ამბობდა სათავეში ჩადგომოდა ერს რათა გამოეყვანა ეგვიპტიდან, რადგან არ უნდოდა აპარონზე, თავის უფროს ძმად წინ დადგომა, და ამით გამოეწვია მასში შური. მიდრაში ამბობს, რომ მოშე მხოლოდ მაშინ დათხმდა, როცა ჰაშემმა თქვა: „აპარონი, როცა დაგინახავს შენ, გაიხარებს“

არის რეკლამა რომელშიც ლაპარაკია: „შეიძინე ეს და ყველას შეშურდება შენი“. ჩვენთვის, ებრაელებისთვის სხვა პრინციპებია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ავირიდოთ ვინმეს შური, არ ღირს ტრაზახი და ბევრი საუბარი არც სამსახურზე, არც ხელფასზე, არც შესაძლებლობებზე, არც გეგმებზე და არც შვილებზე.

„და როცა დაინახა ის (აპარონი), იყო ბედნიერი თავის გულში“ (შმოთი 4:14)

მიდრაში „შმოთ რაბა“ ამბობს: რომ აპარონი დამადლიანდა „ხოშენ მიშფატ“-ს (ქონე ჰაგადოლის ტანსაცმლის ნაწილს, გულსაკიდი თორმეტი ქვით, რომელიც გვიჩვენებს ჰაშემის პასუხის კითხვებზე) იმიტომ რომ გულთადად მიიღო მოშე.

„და იყვნენ ისრაელის შვილების ხელმძღვანელები, რომლებიც ფარაონმა მათზე ზედამხედველად დააყენა“ (შმოთი 5:14)

ეს ხელმძღვანელები თვითონაც ებრაელები იყვნენ, ეცოდებოდათ თავისი მოძმეები და არ აძულდნენ იმ ნორმის შესრულებას, რომელიც ფარაონმა დაანესა, ხოლო, როცა ეს ხელმძღვანელები ებრაელების მიერ გაკეთებულ ქვებს გადასცემდნენ ეგვიპტელ ზედამხედველებს, ისინი ურტყამდნენ მათ იმის გამო, რომ არ აიძულებდნენ მათ მუშაობას და ნორმა არ სრულდებოდა („შმოთ რაბა“)

ისრაელის შვილების ხელმძღვანელები, როგორც ვხედავთ, თავიანთ მდგომარეობას თავისი მიზნებისთვის კი არ იყენებდნენ, არამედ მზად იყვნენ მიეღოთ ფიზიკური ტანჯვა, ოღონდ დახმარებოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს („მახანეი ისრაელ“).

ქედმაღლობა და ქვეშევრდომებზე ზეწოლა, სასტიკად აკრძალულია და ზოგიერთი ღირსეული მიიჩნევის, რომ ეს შედის თორის 613 მცნებაში.

ბელგიის პრემიერ-მინისტრი პარაოლი ქალია

კიდევ ერთი...



სოფი ვილმესი — ასე ჰქვია ბელგიის ახალ პრემიერ-მინისტრს.

სოფი ვილმესი 44 წლისაა, მისი მამა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი გახლდათ, დედა კი — აშქენაზი ებრაელი ქალი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის ებრაელთა კატასტროფის ნლებში რამდენიმე ნათესავი დაკარგა. ეს პოლიტიკოსი ქალბატონი თავის წარმომავლობაზე ხშირად არ საუბრობს, თუმცა, არც არასოდეს დაუფარავს — სისტემატურად ესწრება ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

სოფი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ევროკომისიაში, 2013 წლიდან კი ხელმძღვანელობს ლიბერალური პარტიის ერთ-ერთ განყოფილებას, 2015 წლიდან ბელგიის ფედერალურ ხელისუფლებაშია, იყო ბიუჯეტის მინისტრი, შარშან კი სახელმწიფო სამსახურის მინისტრის პორტფელი მიიღო. ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შარლ მიშელი ევროსაბჭოს თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, ბელგიის მეფე ფილიპე პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურის შერჩევას შეუდგა, არჩევანი სოფი ვილმესზე შეაჩერა.

სოფი ვილიამსი დაოჯახებულია — ჰყავს ოთხი შვილი.

ჩრდილოეთ მაკედონიის შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრი გახდა ამ ქვეყნის ერთობ მცირერიცხოვანი ებრაელი თემის წევრი ქალბატონი რასელა მიზრახი.


ჩრდილოეთ მაკედონიის ებრაული თემი სულ რაღაც 200 ებრაელს ითვლის, თუმცა, ასე სულაც არ იყო — მეორე მსოფლიო ომის ნლებში გერმანელმა ფაშისტებმა ამ კუთხის ებრაელობის 98% ამოჰლიტეს.

რასელა მიზრახი მაკედონიის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროში 2015 წლიდან მსახურობს. მინისტრი კი ახლახან ვადამდელი არჩევნების შედეგად გახდა.

რასელა მიზრახიმ მინისტრად დანიშვნის გამო ბევრი მილოცვა მიიღო, თუმცა, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა თავისი უკმაყოფილება არ დაფარა.



ღირსეულის ბახსენება



იოსებ იზრაელაშვილი Yosef Israelashvili 1919-1984

იოსებ იზრაელაშვილი რომ დიდებული პიროვნება გახლდათ და სულიკო აჯიაშვილთან ერთად სანაქებო ოჯახი შექმნა, აგერ ჩვენს დღეებშიც, მათი ამ ქვეყნიდან წასვლის ორმოცი წლის შემდეგაც გამოჩნდა: ამათმა შვილმა მერაბ იზრაელაშვილმა-სარელმა დაადასტურა მოსესეული მცნებისადმი ერთგულება, რომელიც მშობლებისადმი პატივისცემას შეგვაგონებს — გამოვიდა ბუკლეტი „იოსებ იზრაელაშვილი (1919-1984წ.)“.

ეს ბუკლეტი მერაბ სარელმა მამის 100 წლისთავს მიუძღვნა.

ბუკლეტი წარმოგიდგენთ იოსებ იზრაელაშვილს, როგორც ოჯახის თავს, საზოგადოების წევრს, საქართველოს ერთგულსა და დამფასებელს, ჯარისკაცს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინა ხაზზე იბრძოდა, მენარმეს — ერთ-ერთს იმ ქართველ ებრაელთაგან, რომელიც ქმნიდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ებრაელობის დიდებულ სახეს.

წელიწადეული

გამოვიდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის 5779 (2018-19 წლების) შრომების კრებული „ევროპისა და აზიის ებრაელობა: მდგომარეობა, მემკვიდრეობა და პერსპექტივა“, რომელიც მოამზადა ევრაზიის ებრაელთა კვლევის ცენტრმა იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.



ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა წელიწადეულის წინამდებარე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით განაცხადა:

— ევრაზიის ებრაელთა კონგრესი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამეცნიერო კვლევებს, ამასთან ერთად ვესწრაფვით მხარი დაუჭიროთ და გვაეძლიეროთ ევრაზიის ებრაელობის ცხოვრების საინფორმაციო დისკუსია და შორსმხედველურ გადანაცვებები.

წელიწადეულში შესულია ღრმა ანალიტიკური ხასიათის სამეცნიერო კვლევები ევროპისა თუ აზიის ქვეყნების ებრაელობის ცხოვრებაზე, თანამედროვე, თუ ადრინდელ ისრაელზე, სიონიზმზე. კრებულში ყურადღებას იქცევს იერუსალიმელი მკვლევარის, დოქტორ იაირ პაზის ვრცელი გამოკვლევა ადრეულ წლებში იერუსალიმში ქართველ ებრაელთა („გურჯების“) უზნის არსებობაზე, იქ მიმდინარე პროცესებზე.

ამ საკითხზე ყურადღება ქართველ ებრაელ მკვლევარებსაც გაუმახვილებიათ, დღეს კი ეს თემა ფართო მსჯელობის საგანი გახდა.

ღაპით შიშვილაშვილი

ისრაელში გარდაიცვალა დათო შიშვილაშვილი-ადრეული წლებიდან — ჩვენი მეგობარი, ადამიანი, რომლის სახელსაც ისრაელში რეპატრირებული ქართველი ებრაელი ახალგაზრდობის ბიოგრაფია დაუკავშირდა. დათო შიშვილაშვილი — თავადაც რეპატრიანტი, მის კვალდაკვალ ისრაელში საქართველოდან ჩასული ახალგაზრდობის შემწე, გზის გამკვალავი და დამრიგებელი გახდა. თუ ვინმეზე ითქმის, რომ გახლდათ ისრაელის ახალგაზრდა ქართველი ებრაელობის ამაგდარი, უწინარესად ითქმის დათოზე. მან ერთობ დადებითი როლი ითამაშა გასული საუკუნის 70-90-იანი წლების ახალგაზრდობის პოლიტიკური შეგნების, ცხოვრებისეული მრწამსის ჩამოყალიბების, სრულყოფის საქმეში. იმ თაობის ახალგაზრდობას გულდაგულ წრთვინდა, ახალი ყოფისათვის ამზადებდა.



ქართულ ლიტერატურაზე, ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე გახლდათ აღზრდილი, იცოდა მისი ფასი და იცავდა ქართულ ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს უაღრესად ერთგული ყოფილიყო სიონიზმის იდეალებისა და ისრაელის სახელმწიფოებრიობისა. სიონიზმისადმი დამოკიდებულება მისთვის ებრაელი კაცის პიროვნული რაობის განმსაზღვრელი გახლდათ. ამ იდეას ისე გაეცატა, რომ ჩვენში, საქართველოში დარჩენილ ებრაელებში, ნაკლს მეტს ხედავდა, ვიდრე ღირსებას: ნამდვილი ებრაელი ისრაელში უნდა იყოსო.მეტიც: ერთ ახალგაზრდა ქართველ ებრაელს, რომლის პიროვნულ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიმიძღვისო, ამბობდა, ლამის მოლაღატედ მიიჩნევდა: ბიზნესმა ისევე იქ წაიყვანა, საიდანაც ამოვიდა, ეგ რანაირი სიონიზმიო. ცხადია, ამავის გამო შესტიკოდა გული.

მარტში ისრაელში ყოფნისას მოვინახულე. აზრი, გონება ადრინდელივით უჭრიდა, ფეხზე დგომა, სიარული კი... კვლავ საგულდაგულო საუბარი, კამათიც კი, მაგრამ გულს დაჩენილი ტყიფილი იმის გამო, თუ როგორ მოექცნენ საქართველოს ებრაელთა კონგრესში — ეშმაკობით, ცბიერი ღიმილითა და მოფერებითაც კი, როგორ გამოაცალეს ხელიდან კონგრესის გაზეთი, ყოველ წუთს იჩენდა თავს. ეს თემა, თუ როგორ დატოვეს უგაზეთოდ, უხელფასოდ, სულ თან სდევდა: კარგი შემოქმედი ყოველთვის როდი არისო კარგი ადამიანი.

იცხოვრა, თავისი — ერთი ადამიანის მისია, შეასრულა და...

განუხვენოს, როგორც ჩვენი ხალხი ამბობს, განედენში დამკვიდრდეს მისი სული!

ბ.ბ.

დაგუშენებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ტელეფონები: 299.90.96



რეგისტრირებულია მ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003